



USAID
ამერიკელი ხალხისგან



CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

სახელმძღვანელო

სასოფლო სამეურნეო ცხოველთა მოვლა

4

წინამდებარე სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. კუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

საქონლის შესაფერისი ჯიშის შერჩევა



© Andreas Häberli, Inforama, Zollikofen (1,2,4); Karin Scherer, LZSG, Satez (3)

ამ თავში თქვენ შეისწავლით, თუ როგორ უნდა აირჩიოთ შესაფერისი პირუტყვის ჯიში წარმოების მიმართულებისა და ფერმის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით

პრაქტიკაში შეძენილი ცოდნის გამოყენება, მაგალითად, შემდეგ სიტუაციებში შეიძლება:


- სიტუაცია 1 თქვენ გაქვთ ფერმა დაბლობში. ადგილმდებარეობა მდიდარია საკვები ბაზით. ძროხებს თავისუფალი შენახვის საწარმოში ინახავთ. გადაწყვეტილი გაქვთ რძის წარმოების გაფართოება, რისთვისაც დამატებით რამდენიმე ცხოველის ყიდვა გსურთ. თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილება, თუ საქონლის რომელი ჯიში შეესაბამება თქვენი ფერმის პირობებს.
- სიტუაცია 2 თქვენ გაქვთ ფერმა მთიან რეგიონში, სადაც პირუტყვს კარგი საკვები ბაზა აქვს. გსურთ ფერმა თავისუფალი წოვების (ე.წ. "ფური-ხბო") რეჟიმზე გადაიყვანოთ. თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილება, თუ საქონლის რომელი ჯიში შეესაბამება თქვენს ფერმას.
- სიტუაცია 3 თქვენ გაქვთ ფერმა მთიან ზონაში და გსურთ რძის პროდუქციის გაფართოება მთის ყველის წარმოების მიზნით, რისთვისაც რამდენიმე ძროხის შეძენას აპირებთ. თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილება, თუ საქონლის რომელი ჯიში შეესაბამება თქვენს მიზნებს.

შინაარსი

1 საწარმოს პირობების გათვალისწინება	3
2 გავრცელებული ჯიშების ცნობა	6
2.1 სარძევე ჯიშები	6
2.2 სახორცე ჯიშები	10
2.3 იმჰიათი ჯიშები	13
3 ჯიშების წარმოშობა	15

1 საწარმოს პირობების გათვალისწინება


საქონლის შესაბამისი ჯიშის არჩევისას, სხვა საკითხებთან ერთად, გასათვალისწინებელია წარმოების მიმართულება და მეურნეობის ადგილობრივი პირობები.



ჯიშის მორგება წარმოების მიმართულებაზე

მეურნეობის მიმართულებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის პირუტყვია გამოსადეგი. მაგალითად სარძევე ან სახორცე ჯიშები. ცხოველები, რომლებიც გამოდგება როგორც რძის, ასევე ხორცის წარმოებისთვის, ორმაგი დანიშნულების ჯიშებს მიეკუთვნებიან. საშუალოდ, ისინი ნაკლებ რძეს იძლევიან, ვიდრე რძის სპეციალიზებული ჯიშები, მაგრამ აწარმოებენ მეტ ხორცს.

წარმოების მიმართულება ჯიშების მიხედვით



ახალ ჯიშზე გადასვლის საკითხი, როგორც წესი დგება, როდესაც წარმოება მიმართულებას იცვლის.

თუმცა, არსებობს სიტუაციები, როდესაც არ იცვლება წარმოების მიმართულება, მაგრამ ჯიშის შეცვლა უპირატესობებს გვპირდება. ამის მაგალითია რძის საწარმოები, რომლებსაც წარმოების გააქტიურება ან გაფართოება სურთ.

ადგილმდებარეობის გათვალისწინება

საწარმოს ჩარჩო პირობები განსაზღვრავს, ინტენსიური შენახვაა შესაძლებელი თუ ექსტენსიური. ამიტომ მნიშვნელოვანია საქონლის იმგვარი ჯიშის შენახვა, რომელიც ადგილმდებარეობაზეა მორგებული.

დიდკორპუსიან, მსხვილ ძროხებს, რომელთა სიმაღლე დაახლოებით 145 სმ. ან მეტია, დიდი რაოდენობით საკვების მიღება შეუძლიათ

ბუნებრივი საკვებით მდიდარ რეგიონებში დიდტანიანი, მაღალპროდუქტიული პირუტყვის შენახვაა შესაძლებელი. მეორეს მხრივ, უნაყოფო და მთიან ადგილებში, საკვები ბაზა მწირია, რაც ჯიშების შერჩევისას გარკვეულ საზღვრებს გვიწესებს. გარდა ამისა, დამატებითი საკვების ტრანსპორტირება ხშირად შორიდან გვიწევს, ამიტომ აქ *საშუალოდ ინტენსიური და ექსტენსიური* ჯიშების შენახვაა რეკომენდებული.

საძოვრული მუერნობები

საკვებით მდიდარ რეგიონებში არის საწარმოები, რომლებიც ზაფხულში ძროხებს სილოსით ან კონცენტრირებული საკვებით თითქმის არ კვებავენ, და ცხოველები დღე და ღამ საძოვრებზე ყავთ. ამგვარ საწარმოებს ხშირად საშუალო ზომის ჯიშები ყავთ.

მეორეს მხრივ, ძალიან პროდუქტიული და მსხვილ კორპუსიანი ჯიშები ამგვარი შენახვისთვის ნაკლებად გამოდგება, რადგან მათ კვების დიდი პოტენციალი აქვთ და საძოვრები ამას ვერ უზრუნველყოფენ.

ჯიშების გადანაწილება გამოყენების მიმართულების მიხედვით



ჯიშის ინტენსიობა საწარმოში არსებულ საკვებ ბაზას უნდა შეესაბამებოდეს:

- ინტენსიური ჯიშები - ძალიან კარგი საკვების ბაზის მქონე საწარმოებში
- საშუალო ინტენსიური ჯიშები - საშუალო და კარგი საკვების ბაზის საწარმოებში
- ექსტენსიური ჯიშები - ცუდი საკვების ბაზის მქონე საწარმოებში

2 გავრცელებული ჯიშების ცნობა

2.1 მერძეული ჯიშები

წარმოების მიმართულებას და ფერმის მდებარეობას სხვადასხვა ჯიშის მერძეული ძროხა შეესაბამება. ამიტომ რძის წარმოებაში ჯიშების ფართო სპექტრი არსებობს - კლასიკური ორმაგი დანიშნულების ჯიშით დაწყებული, რძის სპეციალიზებული სახეობებით დამთავრებული.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე ჯიშის წარმომადგენელს შორის სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე სხვადასხვა ჯიშებს შორის. მაგალითად, არსებობს ორმაგი დანიშნულების ძროხები, რომლებიც (სელექციის შედეგად) რძის წარმოებაზე არიან ორიენტირებულნი, და ისეთებიც, რომლებიც, როგორც ხორცს, ასევე რძეს იძლევიან.



პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ერთსა და იმავე ჯიშის წარმომადგენლებში დიდი სხვაობები არსებობს

სხვადასხვა ჯიშების რძის წარმოების მახასიათებლები

ჯიში	ზომა [სმ]	2007/08		
		რძე [ლ]	ცხიმი [%]	ცილა [%]
ჰოლშტინი	150	8095	3,94	3,22
წითელი ჰოლშტინი	148	7351	4,01	3,26
შვეიცარული სიმენტალი	144	6723	3,96	3,24
მონბელიარდი	144	7252	3,75	3,31
სიმენტალი	142	5562	3,86	3,29
შვიცი	144	6735	3,97	3,35
ორიგინალი შვიცი	140	5984	3,85	3,31

ჰოლშტინი/წითელი ჰოლშტინი

გამოყვანილია XIX საუკუნის მე-2 ნახევარში ჩრდილოეთ ამერიკაში ჰოლანდიური და გერმანული საქონლის რძის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. 1950-იანი წლებიდან დაიწყო ჰოლშტინების მასიური ექსპორტი მთელს მსოფლიოში. ჰოლშტინი დღეს მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი რძის ჯიშია.

თუ არ ჩავთვლით ფერს, წითელ ჰოლშტინს იგივე გენეტიკა აქვს, რაც ჰოლშტინს. შვეიცარიაში წითელი ჰოლშტინები, მსოფლიოში ჰოლშტინების რაოდენობასთან შედარებით პროპორციულად ყველაზე დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილები.

ჰოლშტინის და წითელი ჰოლშტინის ძროხები ცნობილია რძის ძალიან მაღალი წარმოებით, ასევე ადრეული სიმწიფითა და კარგი წველადობით. მისი ექსტერიერი ხასიათდება მერძული ჯიშის ძროხებისთვის დამახასიათებელი თვისებებით, საკვების მიღების მაღალი პოტენციალით და მკვრივი, მუცელზე კარგად მიკრული ცურით.

შვეიცარიაში ჰოლშტინისა და წითელი ჰოლშტინის ძროხების წილი მუდმივად იზრდება. ისინი, ერთად აღებული, შვეიცარიიდან ექსპორტირებული სანაშენე ცხოველების უმრავლესობას შეადგენენ.



ჰოლშტინს მკვრივი და ზემოთ აწული ცური აქვს

სიმენტალი

სიმენტალის ჯიშში შვეიცარიული წარმოშობისაა და სიმენტალის ხეობიდან მომდინარეობს. ხასიათდება პირუტყვის საშუალო სიდიდის ტანით, პროდუქტიულობის სახორცე-სარძეო მიმართულებით და თვალჭრელი ფერით. შვეიცარიაში, წითელ ჰოლშტინთან შეჯვარების შედეგად, ორიგინალი სიმენტალის რაოდენობა პერმანენტულად მცირდება და ამჟამად დაახლოებით ათ პროცენტზეა დასული.

სიმენტალის ჯიშს, კარგი მაჩვენებელი აქვს, როგორც სარძეო, ასევე სახორცე მიმართულებით. მისი რძე დაბალი რაოდენობით სომატურ უჯრედებს შეიცავს და გამოსაღებია დიდი რაოდენობის ყველის გასაკეთებლად. ახალგაზრდა ცხოველები, რომლებსაც გასამრავლებლად არ იყენებენ, გამოირჩევიან კარგი სახორცე პროდუქტიულობით. გარდა ამისა, სიმენტალის ძროხები ცნობილია მათი კარგი ნაყოფიერებით და შესაფერისია ალპური და მთიანი საძოვრებისთვის. ამიტომ მათი გამოყენება მიზანშეწონილია რძის რთული საწარმოო პროდუქციის პირობებში



სიმენტალი ძლიერი, ორმაგი გამოყენების ჯიშია, რომელიც ასევე ძალიან კარგად შეეფერება ალპურ საძოვრებს.

Swiss Fleckvieh (სიმენტალისა და წითელი ჰოლშტინის ნაჯვარი)

Swiss Fleckvieh (შვეიცარიული ჭრელა) სიმენტალისა და წითელი ჰოლშტინის შეჯვარების პროდუქტია და ორივე ორიგინალი ჯიშის ძლიერ მხარეებს აერთიანებს. შვეიცარიის მეცხოველეობის ასოციაცია (swissherdbook) Swiss Fleckvieh-ს უკვე როგორც დამოუკიდებელ ჯიშს მოიხსენიებს.



(შვეიცარიული ჭრელა) საშუალო ზომისაა და რძის პროდუქციაზეა ორიენტირებული.

ეს ძროხები საშუალო ზომისაა და რძის პროდუქციაზეა ორიენტირებული, თუმცა საკმაოდ რაოდენობის მუსკულატურაც გააჩნიათ. კარგი ჯანის წყალობით, ისინი კარგად ერგებიან საკვების ხარისხისა თუ კლიმატურ ცვლილებებს. შედეგად, მათი ძლიერი მხარეები განსაკუთრებით ორგანულ მეურნეობებსა ან სრული საძოვრული შენახვის სისტემებში ვლინდება.

მონბელიარდი

მონბელიარდი ფრანგული წარმოშობის ორმაგი დანიშნულების ძროხაა. ხასიათდება ხორცისა და რძის მაღალი პროდუქტიულობით. მის რძეს აქვს შედარებით დაბალი ცხიმინობა, მაგრამ ცილის მაღალი შემცველობით გამოირჩევა და დიდი რაოდენობით ყველს იძლევა.

მონბელიარდის ძროხის ჯიშებს აქვთ განიერი მკერდი, სწორი და გრძელი, კარგად დაკუნთული ზურგი და მენჯი, მასიური ჩონჩხი ძლიერი სახსრებით და კიდურების კარგი ფორმით. ძროხა გამძლეა და განსაკუთრებით შეეფერება საძოვრებზე დაფუძნებულ რძის წარმოებას მკაცრ კლიმატურ პირობებში.



მონბელიარდი ხორცისა და რძის კარგი პროდუქტიულობით გამოირჩევა

შვიცი (Braunvieh)

შვიცი ორიგინალური შვეიცარიული ძროხის ჯიშია. მას ტრადიციულად აღმოსავლეთ შვეიცარიაში, გრაუბუნდენისა და ტესინის კანტონებში და ცენტრალურ შვეიცარიაში ინახავდნენ. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, აინზიდელნის სააბატო შვიცის სელექციის ცენტრი იყო. მსოფლიოში არსებული ყველა შვიცი თავდაპირველად შვეიცარიიდან არის წამოსული

შვიცი ძალიან კარგად ეგუება სხვადასხვა საკვებს და კლიმატურ პირობებს. ამ ჯიშის ძროხის მაღალ პროდუქტიულ რძეს ახასიათებს ცილის მაღალი შემცველობა და სხვა თვისებები, რომლებიც დიდი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის ყველის დამზადებისთვისაა საჭირო. კარგად ეგუება მთიან რეგიონებს, აქვს ჯანსაღი ჩლიქები, მშობიარობს მარტივად და ცხოვრობს დიდხანს.

შვიცი: დღებრძელი ძროხა კარგი



© Keleki

ჩლიქებით და რძით, რომელიც შესანიშნავია ყველის დასამზადებლად

ბრაუნშვიცი (იგივე ბრაუნსვიზი ან ყავისფერი შვიცი)

შვიცის ამერიკაში ექსპორტის შემდეგ, მოხდა ამ ჯიშის სარძევე პროდუქტიულობის მიმართულებით სელექციონირება. ასე გაჩნდა გასულ საუკუნეში ე.წ. ბრაუნ სვიზი (Brown Swiss). ხელოვნური განაყოფიერების შემოდების შემდეგ, 1970-იანი წლებიდან, შვეიცარიის ფერმებშიც სულ უფრო მეტად იყენებენ ბრაუნ სვიზის სპერმას

ბრაუნსვიზისთან შეჯვარების მიზნები:

- პროდუქტიულობის უფრო მაღალი საიმედოობა, რძის უფრო მაღალი პროდუქტიულობა, ცილის მაღალი შემცველობა
- მშობიარობის პროცესის გაუმჯობესება
- უფრო დიდი კორპუსის ცხოველები
- ცურისა და ცურთითების უკეთესი ფორმა
- ადრეული სიმწიფე

ორიგინალი შვიცი

თავდაპირველად შვეიცარიაში მობინადრე ძროხებს, რომლებიც არ შეჯვარებულან ბრაუნსვიზთან, ორიგინალ შვიცებს უწოდებენ. ისინი ამჟამად შვეიცარიის შვიცების 4 პროცენტს შეადგენენ. ცხოველები უფრო მცირე ზომის არიან და შედარებით გვიან მწიფდებიან, ვიდრე ბრაუნ სვიზის სუფთა მერძეული ძროხები. მისი სახორცე პროდუქტიულობის გამო, ის ასევე ხორცის წარმოებაშიც გამოიყენება.



კარგად ადაპტირებადი შვიცი ტიპური ორმაგი დანიშნულების ჯიშია.

ორიგინალი შვიცი არის შვეიცარიაში გამოყვანილი ძროხის ჯიში, რომელიც არ შეჯვარებულა ბრაუნ სვიზთან

2.2 სახორცე ჯიშები


წარმოების მიმართულებისა და ფერმის ადგილმდებარეობის მიხედვით, სხვადასხვა სახის სახორცე ჯიშია შესაფერისი. ამიტომ ხორცპროდუქტების წარმოებაში ჯიშების ფართო სპექტრი გამოიყენება; ინტენსიური პირუტყვიდან დაწყებული, ექსტენსიური გამძლე პირუტყვებით დამთავრებული. ეს ჯიშები სპეციალურად არის გამოყვანილი ხორცის მაღალი პროდუქტიულობისა და კარგი ხარისხისთვის.

თავისუფალი წოვების რეჟიმში ორი განსხვავებული მიმართულებაა შესაძლებელი: დასაკლავი ძროხების წარმოება ფურთან მოშორების შემდეგ და ძროხების მოვლა და გასუქება მოგვიანებით დასაკლავად. შესაბამისად, ჯიშის შერჩევაზე წარმოების მიზნები ასდენს გავლენას.



ბოლო წლებში შვეიცარიაში იმატა თავისუფალი წოვების რეჟიმმა

სახორცე ჯიშების დახარისხება ზომისა და სიმწიფის მიხედვით



სახორცე ჯიშების პროდუქტიულობის მახასიათებლები

ჯიში	ზომა [სმ]	წონა [კგ]	სიმწიფე	ბუნების ფერი
ანგუსი	125–135	550–700	ადრე	შავი, შიგადაშიგ ჟანგისფერი
ლიმუზინი	130–140	600–800	ადრე - საშუალო	მოყავისფრო წითელი, ღია ფერი თვალების არეში
შაროლე	135–145	700–900	საშუალო - გვიან	თეთრი, მოკრემისფერი
აკვიტანიური	135–145	750–950	საშუალო - გვიან	ხორბლისფერი

სახორცე ძროხები თავისუფალი წოვების რეჟიმში იზრდებიან.

დასაკლავი ხბოების წარმოება

თავისუფალი წოვების შენახვის ფერმებში ხბოს ცხრა-ათი თვის ასაკში დედას და შესაბამისად რძის წოვასაც ამორევენ. თუ ხბოს უშუალოდ ამ დროს კლავენ, მას „დასაკლავ ხბოს“ უწოდებენ. ამ ეტაპისთვის ცხოველი უკვე მიღწეული უნდა იყოს დასაკლავ სტადიას (შევსებულია ხორციით, ცხიმი თანაბრად არის გადანაწილებული). დასაკლავად ადრეული და საშუალო სიმწიფის ჯიშების ხბოებს ირჩევენ. სუფთა ჯიშის ცხოველების გარდა, ხშირად ნაჯვარი ცხოველებიც გამოიყენება. ამ გზით სხვადასხვა ჯიშის იდეალური მახასიათებლების გაერთიანებაა შესაძლებელი.

დასაკლავი ხბო:

ხბო, რომელსაც 9-10 თვის ასაკში ფურს ამორევენ დასაკლავად

ანგუსი

ანგუსი შვეიცარიაში ყველაზე გავრცელებული სახორცე ჯიშია. მშობიარობის მარტივი პროცესის გამო ხარებს რძის ნახირებში იყენებენ.

ანგუსის ჯიში წარმოშობით შოტლანდიიდან არის და ან მთლიანად შავი ან მთლიანად წითელია. ისინი გენეტიკურად ურქოები არიან, ანუ რქის გარეშე იბადებიან.

ანგუსი ადრეულად მწიფდება, აქვთ მცირე და საშუალო ზომის კორპუსი, კარგად დაკუნთული სხეული და კარგი ფუნდამენტი. ძროხები კარგ დედობრივ თვისებებს ავლენენ და სახორცე ჯიშისთვის შედარებით დიდი რაოდენობით რძეს იწველებიან. მათი ნაადრევი სიმწიფის წყალობით, ანგუსი კარგად გამოდგება დასაკლავი ხბოების წარმოებისათვის.



ანგუსის ხბო უკვე 9-10 თვის ასაკში შხად არის დასაკლავად.

ლიმუზინი

ლიმუზინი ძალიან პოპულარული ჯიშია შვეიცარიაში. გარდა ამისა, ის გამოსაღებია მერძულ ძროხებთან შეჯვარებისთვისაც. ლიმუზინი წარმოშობით ფრანგული ჯიშია, თუმცა ახლა მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. ფერად წითელია, ზოგჯერ მოწითალო მოჩაღისფრო. თვალების და პირის უბნები შედარებით ღია ფერის აქვს. ლიმუზინს მკვეთრად გამოხატული კუნთოვანი სისტემა, სწორი ფუნდამენტი და შედარებით თხელი ძვლის სტრუქტურა აქვს. ის კარგად მშობიარობს, სწრაფად იმატებს ზონაში და ახასიათებს ხორცის მაღალი პროდუქტიულობა. ჯიში საშუალო სიმწიფისაა.



ლიმუზინი გამოსაღებია თავისუფალი წოვების რეჟიმისთვის

ვინაიდან ლიმუზინის ხბოები ანგუსზე ცოტა გვიან მწიფდებიან, ხოლო ძროხები შედარებით ნაკლებ რძეს იწველიან, დასაკლავი ხბოების წარმოება უფრო ინტენსიურ კვებას მოითხოვს, ვიდრე ანგუსის ხბოებისა.

სილიანი SILIAN

„სილიანი“ Swissgenetics-ის პროდუქტია. სპერმის კონტეინერი სამი სხვადასხვა ხარის სპერმას შეიცავს:

- სიმენტალი
- ლიმუზინი
- ანგუსი

მათ ძირითადად ნაყოფიერების პრობლემების მქონე მერძულ ძროხებში იყენებენ.

შეჯვარებული ხბო, რომლის მამა სიმენტალი, ლიმუზინი ან ანგუსია, შეიძლება დაიკლას

სიმენტალი და ორიგინალი შვიცი თავისუფალი წოვების რეჟიმის ფერმებში

სიმენტალი და ორიგინალი შვიცი ორმაგი დანიშნულების ცხოველებია. ყველა ორმაგი დანიშნულების ჯიშებში არის როგორც გამოკვეთილად სარძევე, ასევე სახორცე მიმართულება. ორმაგი დანიშნულების ფურები მეტ რძეს იძლევიან, ვიდრე ცალსახად სახორცე ჯიშები, და შესაბამისად, ხბოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, განსაკუთრებით კი პირველ თვეებში, უკეთ შეუძლიათ.

სიმენტალისა და ორიგინალი შვიცის ფურების მიერ ხბოს გამოკვების უნარს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამორჩეულად აფასებენ, თუმცა რძის პროდუქციაში მათ იშვიათად იყენებენ



სიმენტალი და ორიგინალი შვიცი საკმარის რძეს იწველება იმისათვის, რომ ხბომ პირველ თვეებში თავისი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს.

ხბოს მოსუქება

საშუალო და გვიან მომწიფებელი ჯიშის ხბოები ათი თვის ასაკში ჯერ კიდევ არ არიან მზად დასაკლავად. მათ ცურის წოვისგან მოშორების შემდეგ, ფურისგან განცალკევებულად ინახავენ და ასუქებენ.

ხბოებს ხშირად ყიდიან სპეციალიზებულ გასასუქებელ ფერმებში. აქ ცხოველები ინტენსიურად იკვებებიან, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ დასაკლავ კონდიციას.

შაროლე

შაროლეს ჯიში სამხრეთ საფრანგეთიდანაა. ცხოველებს მსხვილი კორპუსი და კრემისფერი ბეწვი აქვთ, რომელიც ზოგჯერ თეთრში გადადის. შაროლე სწორ და ძლიერ სახსრებზე დგას და გვიანი მომწიფების ჯიშს განეკუთვნება.

საკვების კარგი გადამუშავების უნარი და წონაში ყოველდღიური კარგად მატება, ჯიშის ამჟამინდელი ძლიერი მხარეა. ცხოველებს უნარი აქვთ დიდი რაოდენობით მიიღონ ფერმის ხელთ არსებული იაფი საკვები და ხორცად გარდაქმნან. მათ აქვთ ძალიან გამოხატული კუნთოვანი სისტემა და, შესაბამისად, ხორცის მაღალი პროდუქტიულობა.



შაროლე გააჩნია საკვების კარგად გადამუშავების უნარი

აკვიტანიური ჯიში

აკვიტანიური ჯიში მსხვილკორპუსიანი ძროხის ჯიშია, რომელიც თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში წარმოიშვა. ცხოველებს აქვთ ძლიერი სახსრები, თხელი ძვლის სტრუქტურა და გამოხატული კუნთები. შესაბამისად მათ ხორცისა და ძვლის კარგი თანაფარდობა აქვთ, რაც ხორცის პროდუქტიულობას უწყობს ხელს. მსუქანი ცხოველების ხორცი წვრილობოჭკოვანი და ნაზია. აქვს ასევე მშობიარობის კარგი მახასიათებლები



აკვიტანიური ძროხა დიდი და ინტენსიური სახორცე ჯიშია

გამძლე პირუტყვის ჯიშები

შვეიცარიაში გამძლე პირუტყვის ჯიშებს შედარებით წვრილი კორპუსი აქვთ, გამოირჩევიან ამტანიანობით, უპრობლემო მშობიარობით და კარგი დელობრივი თვისებებით. ეს ჯიშები მკაცრი ამინდისა და უნაყოფო გარემოში განვითარდნენ, რამაც მათ გარეგნობასაც თავისი კვალი დაამჩნია. ეს თვისებები, საშუალებას იძლევიან თვით ექსტრემალურ პირობებშიც კი მთელი წლის განმავლობაში საძოვარზე გვყავდეს. ისინი გვიან მწიფდებიან და წონის ყოველდღიური მატება დაბალი აქვთ. აქედან გამომდინარე, ხბოების დაკვლა მხოლოდ 2 წლის ასაკშია შესაძლებელი

მოტლანდიური მაღალმთიანი ძროხა

მოტლანდიურ მაღალმთიან ძროხას (Highland Cattle) აქვს მოკლე თავი, წითელი, მოყავისფრო, თაფლისფერი ან შავი ფერის გრძელი და ხშირი ბეწვი და გრძელი, დაგრეხილი რქები.

გალოვეი

გალოვეი სხვადასხვა ფერისაა: შეიძლება იყოს მთლიანად შავი, ყავისფერი, წითელი, თეთრი ან სხვადასხვა ფერებად დაზოლილი. გალოვეი გენეტიკურად ურქოა.



მოტლანდიური მაღალმთიანი ძროხა მიშხიდველად გამოიყურება; მას ხშირი ბეწვი და დაგრეხილი რქები აქვს



გალოვეი გენეტიკურად ურქოა

2.3 სხვა ჯიშები

ჯერსი

გამოყვანილია კუნძულ ჯერსიზე (ბრიტ.) ნორმანდიული ძროხის მოშენების გზით. აქედან იქიდან ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ჯერსი დღეს მსოფლიოში სარძევე მიმართულების ძროხებს შორის გავრცელებით მეორე ადგილზეა. არც ერთი სხვა ძროხა არ არის გამოყვანილი რძის წარმოებისთვის ისე ძლიერად, როგორც ჯერსის ძროხები. მეცხოველეობის ძირითადი ქვეყნებია დანია, აშშ, კანადა, ახალი ზელანდია და დიდი ბრიტანეთი.

ჯერსისთვის ნიშანდობლივია, გარდა მცირე აღნაგობისა (სიმაღლე 115-დან 130 სანტიმეტრამდე, წონა 350-450 კილოგრამი), რძეში ცხიმებისა და ცილების ძალიან მაღალი შემცველობა. ცხიმის საშუალო შემცველობა 5 პროცენტზე, ცილის შემცველობა კი ოთხ პროცენტზე მეტია. ჯერსის აქვს საკვების მოხმარებისა და რძის პროდუქტიულობის საუკეთესო თანაფარდობა: ვერცერთი სხვა ჯიშში ვერ ახერხებს ერთ კილოგრამ ცოცხალ მასაზე რძის მშრალი სუბსტანციის ასეთი დიდი რაოდენობით გამომუშავებას ჯერსის ჯიშის ხბო ადრე მწიფდება. მათ აქვთ ყავისფერი ბეწვი, ზოგჯერ თეთრი ლაქებით.

ჯიში ეკონომიკურად საინტერესოა რძის მაღალი პროდუქტიულობის გამო, ჯიში ეკონომიკურად განსაკუთრებით მომგებიანი იმ რეგიონებშია, სადაც რძე შემდგომი დამუშავებისთვის (მაგალითად ყველის წარმოებისთვის) პირდაპირ რძის დამამუშავებელ საწარმოებს ბარდება

პირველი ჯერსი შვეიცარიაში სატესტო მიზნებისთვის 1980-იანი წლების ბოლოს იქნა იმპორტირებული. პირველი კრძო იმპორტი მხოლოდ 1990-იან წლებში განხორციელდა.

ჯერსი არის პატარა ტანიანი ძროხა



ცხიმებითა და ცილებით მდიდარი რძით

ერინგერი

ერინგერი მთის, არაპრეტენზიული და გამძლე ჯიშია, რომელიც ვალიზის ზოგიერთ ხეობაშია გავრცელებული.

მიუხედავად იმისა, რომ ერინგერი რიცხოვნობრივად უმნიშვნელო ჯიშია, ისინი ცნობილი არიან თავიანთი ორთაბრძოლებით. მცირე ზომის ერინგერი გამოყვანილია როგორც რძის, ასევე ხორცის წარმოებისთვის. მათ ძვლისა და ხორცის ძალიან კარგი თანაფარდობა და ძალიან ნაზი ხორცი აქვთ. და რადგან ერინგერის ფური უფრო რძეს გამოიმუშავებს, ვიდრე სუფთა სახორცე ჯიშები, მათი ხბოები სწრაფად იზრდებიან. ერინგერი ერთადერთი შვეიცარიული ჯიშია, რომელიც არ შეჯვარებულა უცხოურ ჯიშებთან. თუმცა, გამრავლებასთან დაკავშირებული სირთულეები გამო, ეს ჯიში მუდმივად იკლებს



ერინგერი მთის გამძლე ჯიშია. უყვარს იერარქიული ორთაბრძოლები

Pro Specie Rara

Pro Specie Rara (პრო სპეცე რარა) არის ფონდი, რომელიც იბრძვის იშვიათი ორიგინალური ცხოველების ჯიშების შენარჩუნებისთვის და მხარს უჭერს მათ მოშენებას.

რეტული ნაცრისფერი

გრაუბუნდენის კანტონში ასი წლის წინ ფართოდ იყო გავრცელებული რეტის ნაცრისფერი პირუტყვი. 1920 წლისათვის მისი პოპულაცია ნულზე დავიდა, თუმცა ის შემორჩენილია იტალიის ტროლში. Pro Specie Rara-ს და დაინტერესებულ სელექციონერების ხელშეწყობით, შვეიცარიაში ამ ჯიშის ხელახალი მოშენება დაწყებული.

ეს ჯიში არის წვრილფეხა, მსუბუქი, გამძლე და დღეგრძელი ორმაგი დანიშნულების პირუტყვი. იგი განსაკუთრებით მთიან და ციცაბო ადგილებშია გამოსადეგი. ის ცნობილია თავისი ნაზო ხორცით.



რეტული მთიანი რეგიონებისთვისაა განკუთვნილი

ჰინტერვალდი

ერთ-ერთი ყველაზე პატარა პირუტყვის ჯიშია ევროპაში, რომელიც ოდესღაც ალპების სხვადასხვა ხეობებში იყო გავრცელებული. მისი სიმაღლე მხოლოდ 115-დან 120 სანტიმეტრამდეა, იძლევა დაახლოებით 3000 ლიტრ რძეს და ვარგისია, როგორც თავისუფალი წოვების, ასევე ექსტენსიური შენახვის რეჟიმისათვის



პატარა სხეულის მქონე ჰინტერვალდი კარგად მოვს ციცაბო ფერდობებზე

ევოლენერი

ევოლენერის ჯიში თავდაპირველად ერინგერის ჯიშიდან წარმოიშვა. არსებობს შავი და წითელი ევოლენერები, მათ შუბლზე, მუცელზე ან ზურგზე ხშირად თეთრი ნიშნები აქვთ. ევოლენერი მთის, გამძლე და ორმაგი დანიშნულების ჯიშია

3 ჯიშების წარმოშობა

პირველყოფილი ადამიანები მონადირეები და შემგროვებლები იყვნენ. ისინი ნადირობდნენ გარეული ცხოველებზე ხორცის, მატყლისა და ბეწვის მოსაპოვებლად. მგელი იყო პირველი ცხოველი, რომელიც ადამიანმა დაახლოებით 10000 წლის წინ მოათვინიერა, რის შემდეგ ის ადამიანის მუდმივი მფარველი და თანამგზავრია. პირველი სახნავი კულტურების მოყვანითა და თხის, ცხვრის და საქონლის მოთვინიერებითა და გამოყენებით მონადირეები და შემგროვებლები მეურნეები გახდნენ.

გარეული ცხოველიდან შინაურ ცხოველამდე

გარეული ცხოველების მოშინაურებამ მრავალი ცვლილება მოიტანა. მაგალითად, გაიზარდა ცხოველის ნაყოფიერება, ცხოველმა დაიწყო სწრაფი ზრდა, ამაღლდა მისი პროდუქტიულობა, გახდა უფრო მრავალფეროვანი და სხვ.. ადამიანები აგრძელებდნენ იმ ცხოველების მოშენებას, რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონდათ. მოშენების მიზნები და მახასიათებლები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგალითად, შვეიცარიის მთებში, ცხოველი გამორჩეულად ყინვაგამძლე უნდა იყოს და შეეძლოს მთებზე ასვლა. სწორედ ამ გზით გაჩნდა და განვითარდა სხვადასხვა ჯიშები.

ზოგადად, ყველა შინაური საქონელი წარმოშობით ამჟამად ამომწყდარ, პირველყოფილ ძროხა აუროქსისგან (ტური, Aurochs, ლათ. *Bos primigenius*) მომდინარეობს.


ჯიში

ჯიში არის ცხოველთა ჯგუფი, რომლებიც გამოირჩევიან ერთგვაროვანი ნიშან-თვისებებით, როგორიცაა სხეულის ფორმა, ფერი, პროდუქტიულობა და სხვ. ერთი და იგივე სახეობის ჯიშები შეიძლება შეჯვარდეს ერთმანეთთან.

სხვადასხვა ჯიშების მაგალითები

სახეობა	ჯიში
ძროხა	ჰოლშტინი, ლიმუზინი
ღორი	ლანდრასი, სიუროკი, ბერკშირი
თხა	ტოგენბურგერი, ზაანენური, მერგული
ცხვარი	თუმური, იმერული, ალპური

გარეული ცხოველის სხეულის პროპორციების ცვლილება



სპეციალიზებული მიმართულებები

ადამიანები მოთვინიერებულ ცხოველებს თავდაპირველად ხორცის, რძისა და ბეწვის პროდუქციისათვის, ურემსა თუ გუთანში ჩასაბმელად, ან თუნდაც მსხვერპლშეწირვისათვის იყენებდნენ. დღევანდელ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ამ ამოცანების ნაწილი უკანა პლანზე გადავიდა და ახალი მიზნები გაჩნდა. ცხენი, მაგალითად, ახლა ძირითადად სპორტული ღონისძიებებისა და გართობისათვის გამოიყენება.

სულ რამდენიმე ათწლეულის წინ, შვეიცარიაში მცხოვრები ყველა პირუტყვი ეგრეთ წოდებული ორმაგი დანიშნულების პირუტყვი იყო. დღეს ცნობილი რძის ან ხორცის ჯიშები სწორედ ამ თავდაპირველი ჯიშებისგან განვითარდა.